ხელშეკრულება N 67

ქ. თბილისი ივნისი 2023 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ-საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის ცენტრის უფროსის ირაკლი გოცირიძის სახით და მეორე მხრივ შპს „ჯი-თი სტუდიო“ (შემდგომში - „მიმწოდებელი”) წარმომადგენელი მისი დირექტორის ბაგრატ პაკელიანი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შპს „ჯი-თი სტუდიო“ მოამზადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ფრონტალური ფასადის წინ არსებულ ტროტუარზე გამწვანების მოწყობის ესკიზურ პროექტს **(CPV71420000)**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 2 400.00 (ორი ათს ოთხასი ლარი) ლარს.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. ელექტრონული პროექტი გადაეცემა „შემსყიდველს” ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ღირებულებას „შემსყიდველი” იხდის საქართველოს ეროვნული ვალუტით, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის” მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით, მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები `შემსყიდველისათვის”. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის” 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით „შემსყიდველ" ორგანიზაციაში გამოყოფილია კოორდინატორი - ფინანსების მართვისა და ლოჯისტიკის ცენტრის მთვარი კონსულტანი დავით ოდიშვილი (უფლებამოსილი პირი).

7.2. კოორდინატორის ფუნქციებია: შესყიდული მომსახურების რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, ხელშეკრულების პირობების თანახმად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

8. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

8.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს „შემსყიდველს" სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მოწოდებულ საქონელზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სრულად ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ რომელიმე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 28 ივლისის ჩათვლით.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი - „შემსყიდველს", ერთი - „მიმწოდებელს").

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს უზენაესი სასამართლო	შპს „ჯი-თი სტუდიო"
ს/კ 203860508	ს/კ 205 251 234
ძმ. ზუბალაშვილების #6	ქ. თბილისი, მუხიანი I-მრ. კორბუსი N3 ბინა 108
ტელ. 299 09 62; 292 18 35.	ტელ: 577 17 00 89
ანგარიში:	ანგარიში:
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თი ბი სი ბანკი"
კოდი TRESGE 22	ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. #GE24NB0330100200165022	ანგ. #GE42 TB73 5603 6050 1000 02
ი. გოცირიძე	ბ. პაკელიანი

Irakli Gotsiridze 01024003888
Digitally signed by Irakli Gotsiridze
Date: 2023.06.20 16:46:09

Bagrat Pakeliani 62001024700
Digitally signed by Bagrat Pakeliani
Date: 2023.06.20 16:42:18